

ინფორმაცია საზოგადოების და მისის საქმიანობის შესახებ.

საზოგადოების სამართლებრივი ფორმა და დასახელება	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ ჰერბია“
საზოგადოების საინდიფიკაციო კოდი	221272851
საზოგადოების საინდიფიკაციო თარიღი	25 ივლისი 2006წ.
საზოგადოების იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი	ქ.წყალტუბო თამარ მეფის ქუჩის გაგრძელება
საზოგადოების ტელეფონი	599674649
საზოგადოება ელ.ფოსტა	info@herbia.ge
საზოგადოების დირექტორი	ზურაბ ჯანელიძე

საზოგადოების საქმიანობის საგანი	საცალო ვაჭრობა ხილით და ბოსტნეულით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საბითუმო ვაჭრობა ხილით და ბოსტნეულით, ხილის და ბოსტნეულის გადამუშავება კონსერვების სხვა სახეები. კარტოფილის გადამუშავება და დაკონსერვება. ბოსტნეულის და ბაღჩეულის, ძირხვენების და ტუბერების მოყვანა.
------------------------------------	--

შპს. „ჭერბია“

წლიური ანგარიში 30 სექტემბერი 2019 წ.

ანგარიშში ასახული დროის მონაკვეთი: 2018 წლის 1 იანვარი 31 დეკემბრის
ჩათვლით.

გვერდი

ფინანსური ანგარიშების შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----3

მოგება-ზარალის ანგარიშგება -----5

ფულადი ნაკადების ანგარიშგება -----4

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება -----6

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----7-19

	31.12.2017	31.12.2018
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	127 199	139 822
სავაჭრო მოთხოვნები	336 320	387 643
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	597 539	12 967
მარაგები		
- მზა პროდუქცია		
- სხვა	65 580	46 656
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები	32 488	49 302
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები		
ძირითადი საშუალებები	2 565 059	2 830 054
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	3 724 185	3 466 444
ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	94 408	345 475
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	1315600,00	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		
საგადასახადო ვალდებულებები	-128550,08	-150224,30
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	980500,08	1112369,20
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები	47 607	18 261
სულ ვალდებულებები	2 309 565	1 325 881
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი ('შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	8 080	8 080
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	423882,37	
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები	982658,00	
სულ საკუთარი კაპიტალი	1 414 620	2 140 563
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3 724 185	3 466 444

ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
პირადი მეთოდი	საანგ. წინა წ. წ.	საანგ. წ.
	2017	2018
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი საქმიანობის მოძრაობა		
1. ფულადი სახსრების და ექვივალენტებით საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	22 251	127199
2. მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები(+)	2 017 009	4154723
3. მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები (-)	-2 673 048	3712102
4. თანამშრომლებზე გაცემული ხელფასი (+)	-109 130	-238593
5. გადახდილი გადასახადები(+)	-909	-320
6. სხვადასხვა (ქველმოქმედება ,ვალუტის კურსთა შორის სხვაობა(┐/+))	-53 434	-101526
6. დივიდენდი(-)		-570000
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
7. ძირითადი საშუალებების შეძენა (+)	-1 316	
8. მიღებული პროცენტები(+)	0	0
9. წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობასთან		
10. საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	4 031	
11. დაბრუნებული მოკლევადიანი სესხი (+)		
12. შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან (+)	1 461 225	500000
13. შემოსულობანი მოკლევადიანი სესხებიდან (+)		
14. გადახდილი გრძელვადიანი სესხები (+)	-828 966	-372697
15. გადახდილი მოკლევადიანი სესხები.		
16. გადახდილი პროცენტები (+)	-11 829	-48095
17. სოფლის მეურნეობის განვითარების (+)	301 314	401232
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
18. ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის პერიოდის ბოლოს	127 199	139821
19. ფულადი სახსრები და ექვივალენტების წმინდა ზრდა (კლება)	104 948	12622

მოგება - ზარალის ანგარიშგება		
	31.12.2018	31.12.2017
ამონაგები	4 692 280	2 370 075
თვითღირებულება	(2 506 644)	(1 506 148)
საერთო მოგება	2 185 636	863 927
სხვა შემოსავლები	401 228	301 334
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(514 003)	(266 921)
მიწოდების დანახარჯები	(564 755)	(191 074)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	(4 362)	6 723
სხვა ხარჯები	(23 827)	(400)
საოპერაციო მოგება	1 479 918	713 589
ფინანსური შემოსავალი	(48 095)	(11 829)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	(48 095)	(11 829)
მოგება დაბეგვრამდე	1 431 823	701 760
მოგების გადასახადი	(105 882)	
წმინდა მოგება	1 325 941	701 760
სხვა სრული შემოსავალი:		
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		(98 949)
მთლიანი სრული შემოსავალი	1 325 941	602 811

	საწეს. კაპ.	გადაფ.რეზ.	მოგ.ზარ.	გაუნაწ.მოგება	მთლ. კაპიტ
2017 წლის 1 იანვარი	8 080	1 081 607	-277 877		811 810
წმინდა მოგება	-	-		701 760	701 760
სხვა სრული შემოსავალი	-	(98 949)			-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	(98 949)	-	701 760	701 760
გაცემული დივიდენდი	-	-		-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	8 080	982 658	(277 877)	701 760	1 414 621
წმინდა მოგება	-	-		1 325 941	1 325 941
სხვა სრული შემოსავალი	-			-	
პერიოდის სრული შემოსავალი	-			1 325 941	1 325 941
გაცემული დივიდენდი	-	-		(600 000)	(600 000)
საწესდებო კაპიტალის ზრდა		-		-	
2018 წლის 31 დეკემბერი	8 080	982 658	(277 877)	1 427 701	2 140 562

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შპს. „ჰერბია“

1. ზოგადი ინფორმაცია.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შპს. „ჰერბია“-ს მიერ წარმოდგენილი 2018 წლის სამეურნეო ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში ანგარიშგება) მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შემდგომში მსს ფასები შესაბამისად.

ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშო პერიოდი. 2018 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საზოგადოებაში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგები, რომლებიც დასაჯგუფებულია მათი ეკონომიური მახასიათებლის მიხედვით.

შენიშვნებში მოცემულია განმარტებები ფინანსური ნაკადების ანგარიშგებისა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებაში ასახულ თანხებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია, რომელიც საწარმოს შესახებ ინფორმაციის სამართლიანი წარდგენისათვის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების მიხედვით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.

მომზადების საფუძველები.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოს

ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად. (მსს. ფასს)

სააღრიცხო პოლიტიკა

ზოგადი.

ანგარიშგების მომზადებისას სრული შემოსავლის ანგარიშგება.დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით,ხოლო ფულადი ნაკადის ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით.შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება-ასახვა.მსს ფას-ების შესაბამისად ხდება ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება მოითხოვს გარკვეულ სააღრიცხო შეფასებების გამოყენებას. ის ასევე მოითხოვს,რომ მენეჯერმა გამოიყენოს მსჯელობა ყველაზე შესაბამისი სააღრიცხო პოლიტიკის მიღებაში. ფინანსური ანგარიშგების არეები,რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავების მომავალი პერიოდისათვის ,შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით.

წარდგინების ვალუტა

საწარმოს მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა “ლარი“ ,რომელიც ასახავს ძირითად მოვლენების და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ეროვნულ ვალუტას -ლარს.

უცხოური ვალუტა

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

თარიღი	ვალუტა	კურსი
31,12,2017	USD	2,5902
31,12,2018	USD	2,6727
31,12,2017	ევრო	3,1042
31,12,2018	ევრო	3,0597

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით. ამონაგები შემცირდება მომხმარებელთა მიერ საქონლის დაბრუნების ფასდათმობისა და მსგავსი გამოქვითვების შეფასებული ოდენობით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეული იქნება.

მოგების გადასახადი.

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი .მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგება და დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯების დაბეგვრას.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები.

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებული გასაყიდის ფასს შორის უმცირესი თანხით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს :მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს,აგრეთვე იმ დანახარჯებს ,რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობების კონვერსიის (წარმოების) დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს,რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან როგორიცაა პირდაპირი შრომა და ნედლეული და აგრეთვე სისტემატურად გამანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს,რომლებიც გაწეული ნედლეულისა და მასალების პროდუქციად გარდაქმნის პროცესში.

გაყიდული (გამოყენებული) სასაქონლო მატერიალური ფასეულობების საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად,როდესაც აღიარდება შესაბამისი

შემოსავლები.სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულების ხარჯად აღიარებისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მოგების გადასახადი.

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი,რომელიც ყველა პირისათვის გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები,სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა) ძალაში შევიდა 2017 1 იანვრიდან.

ახალი ე.წ. ესტონური“მოდელის“მიხედვით კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადი გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან)მანამ სანამ არ მოხდება აღნუშნული მოგების განაწილება დივიდენდების,ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით,კომპანიის მოგება 15%-ანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება.

დღგ.

კომპანიის მიერ გაყიდვებისმომსახურეობის გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ.სხელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურეობის შესაბამისად.კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში.კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ.-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. წმინდა თანხის საფუძველზე(მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით შესაბამისად,კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ,რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ,ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება)ე.წ. წმინდა თანხის საფუძველზე.

დაქირავებულ პირთა გასამჯელოები

ხელფასები,გასამრჯელოები,ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები,ბიულეტენები,პრემიები,არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ

ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში,რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურეობა იქნა გაწეული.არსებითობის პრინციპიდან გამომდინარე,კომპანიის მიერ არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში(არ არსებითობის გამო).

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საწარმო გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში,აქედან გამომდინარე მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას,რათა განისაზღვროს.ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება.ასეთის არსებობის შემთხვევაში დაუყონებლივ ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში გარდა საექვო მოთხოვნებისა ,რომელზეც მიმდინარეობს სასამართლო დავა.ასეთ დროს საექვო აღირიცხება სხვა მოთხოვნებისაგან დამოუკიდებლად სასამართლო გადაწყვეტილებამდე.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს,რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის უცხოურ ვალუტაში განხორციელებული. სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ადგილობრივ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენების კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება იმავე წელს სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია,რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღება ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.ძირითადი საშუალების ერთეული ,რომელიც აკმაყოფილებს აქტივის

აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით.თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს .მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს.ძირითადი საშუალებების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით .თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს,რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ აქტივი ფასდება თვითღირებულებით ,რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით.

ცვეთა დარიცხულია წრფივად ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.ცვეთის დარიცხვისას არ გაითვალისწინება აქტივის ნარჩენი ღირებულება

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების აქტივების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოყენებული სასარგებლო მომსახურების ვადები:

სასარგებლო მომსახურების ვადა	
შენობა- ნაგებობები	5%
მანქანა- დანადგარები	8%
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	20%
ავტოსატრანსპორტო	20%
დაუმთავრებელი მშენებლობა	ცვეთა არ აღირიცხება

მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ფული და ფულადი ეკვივალენტები.

ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

ანარიცხები.

ანარიცხები აღიარდება, როდესაც კომპანიას ექნება მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება მოვალეობის ანგარიშსწორება და შესაძლებელია ამ მოვლენების თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების სახით აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორების საუკეთესო შეფასება. ამ მოვალეობასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. კომპანიის მიერ ანარიცხი შეფასებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდში იმ თანხით, რომელიც უნდა განეხორციელებინა სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების 23/10 - 2017 წ. „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, რომელიც 2018 წელს სრულად შესრულდა და მთლიანად არის დაფარული ანარიცხი.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები აისახება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას დირექტორებს მოეთხოვებათ განსჯის შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან. აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება, სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე ისე სამომავლო პერიოდებზე,

დივიდენდების გადახდის შეზღუდვა.

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაპტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი დივიდენდების გადახდა რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტების გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია. მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიზლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

საექვო ვალების ანარიცხები

კომპანია საექვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძვლად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას. მომხმარებლის კრედიტუნარიანობას და გადახდის პირობების ცვლილებებს, ეკონომიკაში დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საექვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

რისკის მართვა

თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის გადახდის უნარიანობის და ფინანსური მდგომარეობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას. ქვემოთ მოცემულია ლარის კურსის დინამიკა აშშ. დოლარის მიმართ საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა. არსებითად არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საწარმო ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები საწარმოს ხელმძღვანელობის მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. თუ მოსალოდნელია ასეთი საწარმო შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურიზაცია.

გადახდის უნარიანობის და ფინანსური მდგომარეობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები გადახდის უნარიანობის და ფინანსური მდგომარეობის

დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს,რომელიც ზეგავლენას ახდენს საწარმოს ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების ,მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა,საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

სამართლებლივი რისკები.

სამართლებლივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში,სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილებიოს შედეგად.

ძირითადი
საშუალებები

	მიწის ნაკვეთ.	დაუმთ.მშე	შენობ	ნაგებო	მანქა- დანად	ავეჯი დ	სატრანსპ. საშ.	სულ
31 დეკემბერი 2017	7 666	121 015	1 393 519	1 047 043	302 242	83 638	61 748	3 016 872
შემოსვლა		90 062	634 544	1 067 690	702 817	62 625	171 789	2 729 527
გადატანა შენობებში ანარიცხის შემცირება		(211 077)						(211 077)
გასვლა	-		(1 315 600)	(533 982)	(327 857)			(2 177 439)
31 დეკემბერი 2018	7 666	0	712 463	1 580 751	677 202	146 263	233 537	3 357 883
ცვეთა და გაუფასურება								
31 დეკემბერი 2017	-		(10 708)	(326 035)	(51 659)	(39 174)	(24 238)	(451 813)
პერიოდის ცვეთა	-		(3 529)	(36 048)	(20 035)	(8 902)	(7 502)	(76 016)
გასვლა	-		-			-	-	
31 დეკემბერი 2018	-		(14 237)	(362 083)	(71 694)	(48 076)	(31 740)	(527 829)
წმინდა საბალანსო ღირებ.								
31 დეკემბერი 2017	7 666	121 015	1 382 811	721 008	250 584	44 464	37 510	2 565 059
31 დეკემბერი 2018	7 666	0	698 226	1 218 668	605 509	98 188	201 797	2 830 054

არამატერიალური აქტივები შპს. “ჰერბიას“-ს არ აქვს .

მარაგები.	2017	2018
ნედლეული და მასალები	62951	38090
საწვავი	2630	8567
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2017	2018
ფინანსური მოთხოვნები	336321	387643

ფული და ფულის ექვივალენტი	2017	2018
ფულადი სახსრების საბანკო ანგარიშებზე		
დოლარის ანგარიშზე	208	17573
ევროს ანგარიშზე	-	78
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე		
ეროვნულ ვალუტაში	126990	122170

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები.

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საწარმოს ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნებში.

შპს. “ჰერბია“-ს დირექტორი:

ზურაბ ჯანელიძე./

/

მთავარი ბუღალტერი:

გულნაზი ჯელაძე./

/